KA030150673818418

№ 01-6294/ს **25 / დეკემბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მურად აბლოთიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგეხსენებათ, რომ დევნილთა და ეკომირგანტთა პოლიტიკის დეპარტამენტს, კომპეტენციიდან გამომდინარე, ხშირად უწევს ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თბილისსა და რეგიონებში, რაც გულისხმობს მონაწილეობას სხვადასხვა შეხვედრებზე, კონფერენციებზე, ტრენინგებსა და სემინარებზე. ასეთი ტიპის შეხვედრები იმართება ყოველთვიურად, დაახლოებით 10-ჯერ ან 15-ჯერ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დეპარტამენტის კომპეტენციას განეკუთვნება იძულებით გადაადგილებულ პირთა მხრიდან, სახელმწიფო და/ან კერძო საკუთრების უკანონოდ დაკავების (შეჭრის) შემთხვევებში ადგილზე ვიზიტი, დღის ან ღამის ნებისმიერ მონაკვეთში. აღნიშნული სახის ვიზიტები შესაძლებელია თვეში იყოს 5-დან 10-მდე.

ასევე დევნილთა საკითხების სამმართველოს კომპეტენციიდან გამომდინარე, სამმართველოს თანაშრომლებს, დევნილთა მოთხოვნის საფუძველზე, ყოვეთვიურად უწევთ 15-20 ვიზიტის განხორციელება მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ (კომპაქტური ჩასახლება) ობიექტებში, ობიექტების გამოსყიდვის (მონიტორინგები) ან ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით ექსპერტიზის დანიშვნაზე.

დეპარტამენტი ასევე აქტიურად არის ჩართული დევნილთა განსახლების ორგანიზების საკითხებში, განსახლების პროგრამების მონიტორინგის პროცესში, რომელიც პერიოდულად გასვლით ვიზიტებს გულისხმობს, როგორც თბილისში (მენაშენეების პროგრამის ფარგლებში) ასევე რეგიონებში. აღნიშნული ვიზიტები, განსახლების პერიოდში მიმდინარეობს ინტენსიურად. 2019 წელს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დაგეგმილია დევნილთა ექვსი გრძელვადიანი განსახლება, რაც გულისხმობს თითოეულ ჯერზე მინიმუმ 1 კვირიან საორგანიზაციო პერიოდს.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს, უზრუნველყოს დეპარტამენტისათვის ერთი მორიგე მანქანის გამოყოფა.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

მურად აბლოთია